სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080123268005118

№ 2957

14 / დეკემბერი / 2018 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საკურაციო სფეროების განაწილების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის № 306 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 ნოემბრის № 21 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და საქმიანობის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე კახი დემეტრაშვილის დანიშვნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 3 სექტემბრის № პ-226 განკარგულების, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ზაზა ნანობაშვილის დანიშვნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 3 სექტემბრის №პ-227 განკარგულების, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე გელა გელაშვილის დანიშვნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 20 აპრილის № 1223 განკარგულებისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ხარიტონ შალამბერიძის დანიშვნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 15 ოქტომბრის №პ-200 განკარგულების შესაბამისად:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს – კახი დემეტრაშვილს საკურაციო სფეროებად განესაზღვროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის, სასწავლო ცენტრის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისა და ანალიტიკური სამსახურის საქმიანობა და ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების კოორდინაცია.

2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს – ზაზა ნანობაშვილს საკურაციო სფეროებად განესაზღვროს მონიტორინგის დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტისა და გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების სამსახურის საქმიანობა და ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების კოორდინაცია.

3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს – გელა გელაშვილს საკურაციო სფეროებად განესაზღვროს ფინანსური მართვისა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის ლოგისტიკასთან და ადმინისტრაციულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული, ასევე ადამიანური რესურსების, ინფორმაციული უსაფრთხოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა და ზემოაღნიშნული სფეროების ფუნქციონირების კოორდინაცია.

4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს – ხარიტონ შალამბერიძეს საკურაციო სფეროდ განესაზღვროს ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის საქმიანობა და ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირების კოორდინაცია.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საზედამხედველო და საკოორდინაციო სფეროების განაწილების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 11 იანვრის №140 განკარგულება.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2018 წლის 14 დეკემბრიდან.

7. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე